პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

შპს „სივრცე ახალგაზრდების განვითარებისთვის“ (ს.კ. 400150778) პასუხისმგებლობით ეკიდება პერსონალური მონაცემების დაცვას და ამუშავებს მათ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. რა მონაცემებს ვაგროვებთ

პერსონალური მონაცემები გროვდება სივრცის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, აქტივობებში, კურსებში (შემდგომში ყველა ერთად მოხსენიებული, როგორც „პროგრამები“ - მონაწილეობის ორგანიზებისა და კომუნიკაციის მიზნით. შეგროვებული მონაცემები შეიძლება მოიცავდეს: სახელს, გვარს, ასაკს და საკონტაქტო ინფორმაციას.

2. მონაცემების შეგროვების წყარო

მონაცემების შეგროვება ხდება გარე პლატფორმების (Google Forms, Facebook) მეშვეობით. აღნიშნულ პლატფორმებზე მონაცემთა დამუშავება ექვემდებარება მათ შესაბამის კონფიდენციალურობის პოლიტიკას.

3. არასრულწლოვანთა მონაცემები

არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება მხოლოდ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე.

4. ფოტო-ვიდეო მასალების შექმნა და გამოყენება

„სივრცის“ პროგრამებისა და ღონისძიებების ფარგლებში შესაძლებელია ფოტო და ვიდეო გადაღება სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და საარქივო მიზნებისთვის.

მონაწილის გამოსახულებისა და ხმის გამოყენება მარკეტინგული ან სარეკლამო მიზნებისთვის ხდება მხოლოდ მონაწილის (არასრულწლოვნის შემთხვევაში — მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის) წინასწარი, ინფორმირებული და ცალკე გაცემული თანხმობის საფუძველზე.

მონაწილეს ნებისმიერ დროს აქვს უფლება უარი თქვას მის გამოსახულების გამოყენებაზე მარკეტინგული მიზნებისთვის, რაც არ ზღუდავს მის მონაწილეობას პროგრამაში.

5. ვიდეომონიტორინგი

„სივრცის“ ფართში შესაძლოა მიმდინარეობდეს ვიდეომონიტორინგი უსაფრთხოების მიზნებისთვის. ამ შემთხვევაში თვალსაჩინო ადგილას განთავსდება შესაბამისი მანიშნებელი.

ვიდეოჩანაწერები გამოიყენება მხოლოდ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ინახება არაუმეტეს 7 კალენდარული დღის განმავლობაში და მათზე წვდომა აქვს მხოლოდ შესაბამის უფლებამოსილ პირებს.

ჩანაწერები არ გამოიყენება სხვა მიზნებისთვის და არ გადაეცემა მესამე პირებს კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

6. მონაცემების შენახვა და დაცვა

პერსონალური მონაცემები ინახება უსაფრთხოდ და მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია შესაბამისი მიზნების მისაღწევად. მონაცემებზე წვდომა აქვს მხოლოდ შესაბამის უფლებამოსილ პირებს.

7. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

მონაწილეს უფლება აქვს მოითხოვოს მის შესახებ არსებული მონაცემების ნახვა, შესწორება ან წაშლა.

8. კონტაქტი

პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ საკითხებზე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ელფოსტით: info@youthspace.ge